გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

იმერეთი

№ 252 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 252

ფლიერის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თებათვის 1-ს— 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ , მარტის 1-ს— 3 მ. თებათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

კალენდარი (სათვეო)

„ცოდნა“

მიჰმართონ სოსიპო მერკვილაძეს.

✦ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ✦

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა

ეძვს-ეძვს ქაპეიკად.

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ. Книжный магазинъ „ЦОДНА“.

(10—4).

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

შესაკერად

✦ ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად ✦

ვიყენთნ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბადის პირდაპირ.

ანა მერკვილაძისა.

ტფილისის სახასინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

ხუთშაბათს, 4 ნოემბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით,

წარმოდგენილი იქნება

ნერონი

მუსიკა რუბინშტეინისა.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეტეგეჩი.

ფასები ჩვეულებრივი.

დასაწყისი 8 საათზედ.

პარასკევს, 5 ნოემბერს,

მე-2 სავაჟო გიმნაზიის მე-8 კლასის შეუძლებელ მოწაფეთა სასარგებლოდ,

წარმოდგენილი იქნება

პიკოვაია დამა

მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **«ფენელლი»**, ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ობერისა.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კალდერი.

ტფილისის სათავად-აზნაურო საკრებულო

შეუდგა ტფილისის გუბერნიის თავადთა და აზნაურთა გვარების საშთამომავლო წიგნების შედგენას. ამ ჟამად უკვე შედგენილია ქვემოდ ჩამოთვლილ გვარების შტონი: თავადთა აბაშიძეთა, აბხაზთა, აბამელიქოვთა, ავალოვთა, ამატუნოვთა, ამილახოროთა, არღუთინსკი-დოლგორუკოვთა, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონთა, ბაგრატიონ-დავითიშვილთა, ბარათიშვილთა, ბებუთოვთა, ბეგთამბეგოვთა, ვახტანგოვთა, ვეზიროვთა, გურამოვთა, ჯანდიერთა, ჯორჯაძეთა, ლიონიძეთა, მაღალოვთა, მელიქიშვილთა და მაჩაბელთა.

იმ პირთ, რომელნიც ეკუთვნიან ამ გვარებს და რომელნიც სურთ შეამოწმონ სინამდვილე და სისრულე საგვარეულო სიაში მოთავსებულ ცნობათა, სთხოვენ მიმართონ დეპუტატთა საკრებულოს (სოლოლაკის ქუჩა, № 10) შაბათობით 11—12 საათამდე.—

ამასთან ერთად საკრებულოს აზრად აქვს შეადგინოს, მცოდნე პირთა დახმარებით, ისტორია თავად-აზნაურთა გვარებისა.

ამის გამო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი სთხოვს იმ პირთ, ვისაც მოგზავება გუჯრები, სიგელები, წყალობის ქაღალდები და ძველი წერილები, მოგონებანი და სხვ. გადასცენ დეპუტატთა საკრებულოს, რომელიც თავის დროზე უკანვე დაუბრუნებს პატრონთ უკლებლივ.

დოკუმენტების წარმომადგენელთ მიეცემათ საკრებულოს მდივნის მიერ კვიტანციათ-დოკუმენტების მიღებისა; თვითონ დოკუმენტები-კი დაცული იქმნება განსაკუთრებულ, ცეცხლის მხრივ უვნებელ ყუთში. (5—2)

იბეჭდება და ნოემბერში გამოვა

ახალი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

მოზრდილ და მცირე-წლოვან ყრმათათვის, თვეში სამი წიგნი—ორი მცირე წლოვანთათვის და ერთიც მოზრდილთათვის, ჰედაგოგიურ ფურცლის დამატებით. წელიწადი — 1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: მთელის წლით ერთად ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ-ცალკე—3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა.

გამომცემელი ჟურნალისა

ეკ. ნინო ედიშერ. ქობულოვისა.

რედაქტორები { ეკ. ედის. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზუგბაშვილისა.

ადრესი: Тифлисъ, Редакція «НАКАДУЛИ».

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ბ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ირეურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ. ავადმყოფობანი.

ა. ი. ბაქეშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ბ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ვ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბ. სოლოდოვეიშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზაქარიანცა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებია ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ჟ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 7 საათ.

ხ. ტ. არეკანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველი მასსაც», აუტრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მარიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბაქლიეშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памяти. Воронцова. ნ.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ფორდანოგის ქუჩა, № 16, სკეუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

ბაქლიეშვილი კონსტანტინე ედისაბედის ქუჩა. სახლი მიდდოსა. № 5

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან სადამოს 5 საათ., ოდგის ქუჩა, № 31.

გაბაშვილი გრიგოლ,—ბოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჟაძე სპირიდონ. ბეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—ფოროსმედხოვის და ბარნაის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და სადამოთი 6—8-დე.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

პორტ-არტურის ეხლანდელი მდგომარეობა. აი რას იწერება «ნოვ. ვრ.»-ს სამხედრო თანამშრომელი პორტ-არტურის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ: პორტ-არტურის გარშემო შეუწყვეტლივ ისმის თოფების და საალყე ზარბაზნების გამუდმებული გრიალი. მთელი ქალაქი თითქმის დანგრეულია და უკმბარებისაგან საშინლად დაზიანებული. შეუბრალებელი ცეცხლი ზედი-ზედ ანადგურებს სადგომ-სახლებს. ნავთ-სადგურში მყოფი სამხედრო გემები თავს იფარავენ ოქროს მთასთან. იაპონელები დღითი-დღე უახლოვდებიან ციხეს, თუმცა მათს ასეთს მოძრაობას ათასი დამბრკოლებელი მიზეზი ელობება წინ.

—

პორტ-არტურის ესკადრის გასვლა გაშლილი ზღვაში. ლონდონიდგან ატყობინებენ გაზეთ «ბირჟევ. ვედომოსტი»-ს, რომ ამ დღეებში მოსალოდნელია პორტ-არტურის ესკადრა დაიძრას ნათვ-სადგურიდგან გავიდეს გაშლილ ზღვაშია. ადმირალი ტოგო შესაფერ ლონის ძიებას ჰხმარობს, რომ მტერს დარსეულად დაუხვდეს და დალნისა და პორტ-არტურს შუა შეებრძოლოს მთელის თავის ესკადრით. (რუს ვედ.).

—

კიდევ ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ უბედურობის გამო. როგორც ლონდონიდგან იუწყებიან, იმ კომისიაში, რომელსაც მინდობილი აქვს ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ უბედურების გარჩევა, რუსეთის მთავრობას თავის წარმომადგენლად პარიჟში დაუნიშნავს აგრედვე სტამბოლის �-ეშეს მეორე დრაგომანი ცნობილი მანდელშტამი (რუს ვედ.).

—

ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრის მნიშვნელობა. სამხედრო მწერლობაში თანდათან ირკვევა, თუ რა მნიშვნელობა ექმნება ამ ომში დიდ ოკეანის მეორე ესკადრას. ამ ჟამად ყველა დარწმუნებულია, რომ ხმელეთიდან პორტ-არტურის გამოხსნა ყოველად შეუძლებელია, რადგანაც რუსების ასეთს მოძრაობას ხელს შეუშლის იაპონელთა საუკეთესოდ გაწვრთნილი და ამ ხანად მანჯურიაში დაბანაკებული რიცხვ-მრავალი ჯარი, რომელი ნიშნობლივი თვისებანიც კარგად აქვთ წარმოდგენილი რუსებს. გაზეთ «რუსსკი ინვალიდის»-სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ბოტიანოვი ამბობს, რომ დიდ ოკეანის ესკადრის წილად ხვდა მეტად მნიშვნელოვანის როლის შესრულება—ბოლო მოუღოს ამ ომსაო. «შესძლებს თუ არა ესკადრა პორტ-არტურში შესვლას?—ამბობს იგი თავის წერილში: «1812 წელი და რუს-იაპონრის ომი».—შესაძლებელია საქმე ისე დატრიალდეს, რომ ესკადრა იძულებული გახდეს ვლადივოსტოკისაკენ გაემართოს. ამ შემთხვევაში ესკადრას მაინც დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენთვისაო. ვლადივოსტოკიდან თამამად შეუძლიან ხელი შეუშალოს იაპონელთა თავისუფლად თარეშს გაშლილს ზღვაში, შეუძლიან ნება არ მისცეს მათს ტრანსპორტებს ჯარისა, სურსათისა და სხვა სანოვაგის გადატანა-გადმოტანისა და, საზოგადოდ, იმდენად შეავიწრო

Digitized by Sakartvelo Chronicle

გამგეობის 1903 წლის ანგარიში და ისიც, თუ რა ღონისძიებანი უნდა მიიღოს სავაკრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა, რომ დასაფასებელი გარდასახადები თავის დროზედ აჰკრიბონ.

*** **სასამართლო კომისიის ოქმები.** ტფ. ქალაქის სასამართლო-აღმასრულებელ კომისიას, ამ კომისიის დაარსებიდგან დღემდე, სულ შეუდგენია 146 ოქმი და გადაუცია მომრიგებელ სასამართლოებისათვის. ამ 146 ოქმიდგან სასამართლოებს დღემდე განუხილავთ მხოლოდ 31 საქმე.

*** **სახლების ნუმერაციის** მოსაწესრიგებლად ტფილისის ქალაქის გამგეობას კრება ექმნება შაბათს, 6 ნოემბერს. ამ დღეს ნუმერაციისა და შლაკატების მოიჯარადრემ ვეჩხიზერმა უნდა წარუდგინოს ქალაქის გამგეობას ნიმუში ცინკის შლაკატებისა ნომრებითურთ.

*** **ამ კომისიას ოცდაჯადმარენ**, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ნავთიან ადგილების ოჯარით გასაცემად შირობათა შემუშავება, არჩეულ იქმნა ხმოსანი ბ. მ. დილეულანოვი.

*** **კომისიათა სხდომა.** დღეს, 4 ნოემბერს, შეეთვალიერა სხდომა ექმნება საფინანსო კომისიასა და ტფილისში ნავთან ადგილებ ვაჭრობის მომზადებ კომისიას, რომელთაც ერთად უნდა განიხილონ ბელგიის უსაზღვო საზოგადოების შუამდგომლობა ელექტრონის ტრამვაის უმთავრეს სადგურთან ნავთის მილის მოწყობის თაობაზედ.

*** **ჯარში ახლად გაწვეულთა შემოწმება.** გუმინ-წინ ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოში შეამოწმეს სამი ეზოსელი კაცი, რომელნიც წელს იქმნენ გაწვეულნი ჯარში. ორი მათგანი ჯანმთელი აღმოჩნდა და მიიღეს სამსახურში. საპირო რიცხვს კიდევ აკლია 26 კაცი.

*** **ჯარში გაეგზავნა.** სათადარიგო ჯარში ჩარიცხულთაგან, სვათა შორის, გაწვეულ იქმნენ სხვა და სხვა ნაწილებში: დუშეთის მაზრის მე-3 ნაწილის მომრიგებელი შუა კაცი გიორგი ვახტ. მაჩაბელი ⅔ საგუბერნიო მმართველობის ხუროთ-მოძღვარი კორნილი ნიკ. ტატიშვილი.

*** **სამგზავრო ხარჯის მოპატება.** როგორც სატყეო ქალაქთა გაზეთები გადმოგვცემენ, განზრახვა აქვთ და ახლო მომავალში სისრულეშიაც მოიყვანენ სამგზავრო ბილეთების ფასის მომატებას, რადგანაც შემცირებულ ტარიფს თურმე ვერ გაუმართლებია იმედი მოსალოდნელ შემოსავლისა. ფასს საკმაოდ უმატებენ აგრეედვე მესამე კლასის ბილეთებზედაც.

*** **სამუშაო დროს შემცირება.** კავკავის რკინის გზაზე ტელეგრაფისტებისთვის შეუმცირებიათ სამუშაო დროს. უფროსი არ იქნება, ამ [illegible] ბილერ-კავკასიის რკინის გზამაც მიბაძოს, რადგან არა ერთ მოხელეს არა აქვს იმდენი სამუშაო, რამდენიც ტელეგრაფისტს.

*** **ინჟინერმა ბ-ნმა მეტცმ** უკვე დაამთავრა ვრცელის პროექტის შედგენა ზალის წყაროებიდგან ახალის წყლის მილის გამოყვანისა და ამ ქალაქ ადგილს ხარჯთ-აღრიცხვას, თუ რამდენი მოუნდება ამ წყლის გამოყვანას. პროექტსა და ხარჯთ-აღრიცხვას ინეენერი მეტცი ქალაქის გამგეობას წარუდგენს ნოემბრის შუა რიცხვებში.

*** **ნიხრის დაგლეკა.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, ცხვრის ხორცს დაუკლოს ნიხრი 10 კაპეიკამდე.

*** **ოქმი სომხის მდედელ-ზედ.** ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოში ორშაბათს, 1 ნოემბერს, ფიცის მიღების დროს, სომხის მოძღვარს ცალკე უნდა დაეფიცებინა სომეხ-გრიგორიანნი რუსულს ენაზე. სომხის მოძღვარმა ტერ-არაკელოვმა უარი განაცხადა რუსულს ენაზე დფიცებისა, რის შესახებაც შესდგა ოქმი.

*** **ხოლერა.** 29 ოკტომბერს ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 2 კაცი, გარდაიცვალა—1. 30 ოკტომბერს ავად გამხდარა 1, ბალახანაში ავად გამხდარა 1, გარდაცვლილა 1.

ᲝᲠᲘᲝᲦᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ «ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲘᲡ» ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ამ შვიდ-რვა წლის წინად, როდესაც ძვირფასს სანდრო ყაზბეგს ვასაფლავებდით და მისის უკანასკნელის სიცოცხლის ბედშავი გარემოება გავითვალისწინეთ, ყველას ერთი აზრი დაგვებადა: დაგვეარსებინა სალიტერატურო ფონდი და იმ ფონდის სარგებლითი, ცოტად თუ ბევრად, ხელი გაგვემართნა ხოლმე ღარიბ, ავადმყოფ და ათასის სხვა უბედურობით გაჭირვებულ ლიტერატორებისათვის.

მაშინ პროექტიც შევადგინეთ დასამტკიცებლად, ორას თუმნამდის ფულიც შეგროვდა, ბევრი თანაგრძნობა და სიხარულიც გამოთქვა ჩვენს საზოგადოებაში ამ კეთილის აზრისადმი; მაგრამ ეს უსაქიროესი საქმეც ისე მივიწყებულ იქმნა, როგორც ყოველი ჩვენი კეთილი განზრახვანი მივიწყებულ იქნებიან ხოლმე!

დღეს ჩვენის მხცოვანის მგოსნის აკაკის ავადმყოფობამ კვლავ მოგვაფიზანინა თავი და ყველას სირცხვილის ალმურმა გადაგვკრა პირისახეზე... დიდად პატივცემულმა იაკობ გოგებაშვილმა წინადადება მისცა ქართველებს, აკაკის სახელობაზე. ღმერთმა ჰქმნას, რომ ჩემი შიში არ გამართლებულიყოს, მაგრამ როგორღაც ძნელი დასაჯერებელია, რომ თუ პირველ, და ისიც კიდევ სადღესასწაულო წარმოდგენას, ისე უგულოდ მოეკიდა ჩვენი სახოგადოება, როგორც გბუნებ ეკითხულობთ, შემდეგ წარმოდგენებს უკეთესი დარი დაუდგეთ! რასაკვირველია, ჩინებული აზრი მოსვლია ამხანაგობის დირექციას, რომ ევროპიდგან დაწყებული თითქმის ყველი გამორჩენილი მსოფლიო დრამატურგი უნდა გააცნოს ქართველ საზოგადოებას, მაგრამ როგორღაც ეჭვი გებადებთ, რომ ჩვენმა მსახიობებმა შესძლონ იმსინათა და ჰაუპტმანის რიგიანად წარმოდგენა, სუმბათოვლის «დალატისაკ-კი, ისე გიფუკეზის შემდეგ, როგორც შარშან გაფუკეს...

თავიდანვე ხელოვნურად იქმნა დამკვიდრებული თეატრი ჩვენში და შემდეგშიაც ყოველთვის ხელოვნურად სწარმოებს. ამიტომაც არის, რომ ამდენი ხარჯი და შრომა თითქმის ტყუილად იკარგება და ჩვენს თეატრს არავითარი წინ-სვლა არ ეტყობა.

ვინ არიან გიორგი ერისთავი, როგორც დრამატურგის, მემკვიდრეხი? ავქსენტი ცაგარელი, ვალერიან გუნია და ნატ. აზიანი. სხვისა არ ვიცი და, მე დასახელებულ ავტორების დამკვიდრებას ჩვენს სცენაზე სრულიად გარეგან შემთხვევას ვაწერ. ჩემის აზრით, ავქსენტი ცაგარელისა და აზიანის კომედიებმა მხოლოდ იმიტომ მოიკიდა ფეხი ჩვენს სცენაზე, რომ ისეთი ნიჭიერი მსახიობები გვყვანან მათში გამოყვანილ ტიპების გამოსახველად, როგორიც ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ქ. ჩერქეზიშვილისა და ვასო აბაშიძეა, და ვალ. გუნიას პიესებმა კიდევ იმიტომ, რომ თვითონ ავტორი დაახლოებულია ჩვენს სცენასთან, როგორც ერთი თვალსაჩინო მსახიობთაგანი და, უმეტეს შემთხვევაში, ქართულის თეატრის ბედის გამგე და რეჟისორიც თვითვე ხოლმე. მე ამითი ის კი არ მინდა, ვსთქვა, რომ ვითომ დასახელებული ავტორთა პიესების უვარგისობა იყოს მიზეზი ჩვენს თეატრის წარუმატებლობისა; მე ვამბობ მხოლოდ, რომ, როგორც ყოველსავე ჩვენს სათეატრო საქმეში, მათ, ასე თუ ისე, სასცენო გამოჯვებასაც შემთხვევითი ხასიათი აქვს და ქ. გაბუნია-ცაგარლის და ვასო აბაშიძის ნაცვლად რომ ერნ. როსსი და ელეონორა დუზე ბეგიზეგრეწოდნენ, მაგალითად, ავქსენტი ცაგარლისა და აზიანის კომედიები სარპერტუარო პიესებად ვერ გადაიქცეოდა და, შეიძლება, არც დაწერილიყო სრულიად, აგრედვე ვ. გუნიას მაგიერ რომ ვინმე სხვა ყოფილიყო დაახლოებული ჩვენს სცენასთან და პიესების გადმოკეთების უნარიც გამოეჩინა, დღეს ხის პიესები იქნებოდა დამკვიდრებული ჩვენს სცენაზე, ვ. გუნიას პიესების ნაცვლად.

ჩვენში თითქო ავიწყდებთ, როცა თეატრზე ზრუნავენ და ბის ადორძინებას ცდილობენ, რომ ეროვნული თეატრი ეროვნულ რეპერტუარის უქონლად შეეძლებელია, გარნა დრამატიული მწერლობა მხოლოდ დარგია საზოგადოდ მწერლობისა და, მაშასადამე, ჯერ უკანასკნელზე ზრუნვაა საპირო. დიდ, ბატონებო, თუ გინდათ, რომ ქართული თეატრი აღორძინდეს, ეცადეთ საზოგადოდ ქართულ ლიტერატურის აღორძინებისათვის, თორემ, როგორც უდედოდ შვილი შეუძლებელია, ისე ულიტერატუროდ თეატრს ვერ შეჰქმნით და მარტო ნათარგმნ პიესებით კი შორს ვერ წახვალთ, ტფილისში მაინც, სადაც საზოგადოებას ყოველთვის შეუძლიან იმავე პიესის, რომელსაც თქვენ ქართულად აჩვენებთ, რუსულ სცენაზე უკეთესად დადგმული ნახვა! ტყუილად ჭგონიათ ზოგიერთებს, რომ ჩვენი არტისტები უკეთესად წარმოადგენენ ამა თუ იმ პიესას, ვინემ რუსის მეორე ხარისხოვანი არტისტები, რომლებიც ეწევიან ხოლმე ტფილისს. ეს შეცდომა ხომ შარშანდელმა «დალატის» წარმოდგენამ დაამტკიცა, რომელიც ბევრად უკეთესად წარმოადგინეს პირველადვე რუსმა არტისტებმა, ვინემ ჩვენებმა...

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

წინადაც მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რომ უპირველესი საგანი, რომელზედაც უნდა იყოს ამ ჟამად ჩვენი ყურადღება მიქცეული, არის საზოგადოდ მწერლობა, მაგრამ ჩვენში, ცოტად თუ ბევრად, სხვას ყველაფერს აქცევენ ყურადღებას, მწერლობა კი სრულიად დვთის ანაბარად არის მიგდებული, თითქო იმაზე ზრუნვა საჭირო არ იყოს, თითქო ის ნორმალურად ვითარდებოდეს... მაშინ, როდესაც ბევრს ჩვენს საუკეთესო მწერალთა ნაწერს ერთი გამოცემაც არა ჰღირსებია და მივიწყებულია რომელსამე ძველ ჟურნალისა და გაზეთის ფურცლებზე, ჩვენის ცნობილის პედაგოგის ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის ბელეტრისტიკული ნაწერებიც კი რამდენიმეჯერ არის გამოცემული. მე მგონია, რომ თვით პატივცემული პედაგოგიც ვერ ახსნის ამას მის მოთხრობათა განსაკუთრებულ ღირსებით, არამედ ეს გარემოება უნდა აიხსნას იმით, რომ ავტორი თვითვე ხელმძღვანელობს თავისს ნაწერების გამოცემასა და ხალხში გავრცელებას, ხოლო ვინ არ იცის, რა ენერგიის პატრონია იგი და რა ბეჯითადა და მუყაითად ეკიდება ყოველსავე საქმეს, რომელსაც კი იკისრებს ხოლმე? დიალ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენში ისეთივე გულშემატკივარი გამოსჩენოდა ვინმე ჩვენთა მწერალთა ნაწერებს, როგორიც ბ-ნი იაკობი თავის თხზულებათა-თვის და საზოგადოდ თავის შედგენილ წიგნებისათვის, არამც თუ პირველი სრული გამოცემა ჩვენის მწერლების ნაწერებისა, რამდენიმე გამოცემაც კი გვექნებოდა! ხოლო ჩვენის მწერლების ნაწერების გამოცემასა და ხალხში გავრცელებას მოჰყვებოდა, რასაკვირველია, ერთის მხრივ თვით მწერალთა განვითარება, მათის ნიჭის წინსვლა და მეორეს მხრივ ქართველ საზოგადოების უფრო და უფრო გათვითცნობიერება, ეროვნულის ინტერესებით გამსჭვალვა, რაც, სხვათა შორის, ქართულ თეატრის საქმესაც ფეხზე დააყენებდა, თორემ ახლა საზოგადოებაში თეატრის მოთხოვნილება, როგორც ეროვნულ დაწესებულებისა, არ არის, ჩვენ ხელოვნურად ვქმნით მას იმ მასალისაგან, რომელიც შემთხვევით ხელთა გვიჭვს, ან რომელიც ჩვენს გემოვნებას შეესაბამება და გვიკვირს, რომ სათეატრო დარბაზი სანახევროდ ცარიელია ხოლმე!..

დუტა მეგრელი.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲣᲠᲚᲝᲑᲐ.

არც ერთ ჩვენს საზოგადო დაწესებულებაზე არ ისმის ჩვენში იმდენი წუწუნი, რამდენიც თეატრზე. და არც ერთის მათგანის საქმე არ მიდის ისე ცუდად, როგორც ამავე თეატრისა. ვის არ ახსოვს შარშანდელის სეზონის დასაწყისი? რამდენი წერილი დაიბეჭდა მაშინ ჩვენის თეატრის შესახებ, რამდენი აზრი გამოთქვა, მაგრამ რა გამოვიდა? შარშანდელი სეზონი სულ ბოლო-მოღებული გამოდგა და ვერც დასის გაძლიერებამ, ვერც აკაკის რეჟისორად მოწვევამ და ვერც სხვა ზომებმა, გამგეობისაგან მიღებულმა, ვერა უშველა-რა საქმეს.

დადგა წრეკვნელი სეზონი და ხელ-ახლაც გაისმა თეატრზე ღაღადისი ჩვენს საზოგადოებასა და ჟურნალ-გაზეთებში. ერთ ხანს სათეატრო დარბაზის უქონლობამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ყველა, მაგრამ შემდეგ ამხანაგობამ, რომელმაც თავს იდვა წელს ჩვენის თეატრის გაძღოლა, სძლია ყოველგვარს დაბრკოლებას და სახელმწიფო თეატრში დაიწყო წარმოდგენების მართვა. «ზოგი ჭირი მარგებელია»-ო ჰფიქრობდა ბევრი: «თავადაზნაურობის შენობის დარბაზი არ ვარგოდა და იმიტომ ერიდებოდნენ იქ სიარულს, ახლა კი ყველა სიამოვნებით ივლის სახელმწიფო თეატრშია», მაგრამ, ეტყობა, არც წელს აავსებს ქართველი საზოგადოება ქართულ თეატრს და წინანდებურად, სანახევროდ მაინც, ცარიელი იქნება ხოლმე სათეატრო დარბაზი. ამ ბოლო ხანებში ეს ამბავი ისევ ისევ ეტყობა. ბევრ ადგილებზე ბალკონებიც ცარიელია, ბევრ ადგილებზე ბენუარებიც ცარიელია, ბევრ ადგილებზე ლოჟებიც ცარიელია, ბევრ ადგილებზე ბელეტაჟიც ცარიელია, ბევრ ადგილებზე ამფიტეატრიც ცარიელია, ბევრ ადგილებზე ... ...

კრება. გულში ჩაჰკერია არე-მარეს სრული სიმშვიდე დღიურ ვარამით დაქანცულსა ქვეყანას სძინავს, არ სძინავს მხოლოდ ამ ოხერ გულს თავის ბუდეში; ვით გალიაში დამწყვდეული ლომი, ის ჰგმინავს! რით დავამშვიდო?.. ეს იქეიები, შავი იქვები ნაღველ-ნარევის სიმღერებით მივსებენ გულსა—არა ვიცი რა, მეღირსება კიდევ თუ არა, თავი შევწირო, მტლად დავედო ჩემს სიყვარულსა!..

კვლავ მაგონდება, გულის ტოლო, ნეტარი წამი, როცა პირველად ააყდერე ციური ჩანგი, და გულ-დაკოდილს, იმედმიხდილს, ბეჩავ შრომის შვილს, ნეტარ ჰანგებით გადამფერე გულისა ტანგი: ოჰ მახსოვს, მახსოვს—აბა, იმას რა დამავიწყებს?! ჩემ ოცნებათა მძლე ფსევები იქ არის რგული, იმ ხმებზედ იგრძნო ჩემმა გულმა, თუ რა ხილია თავისუფალი მისწრაფება და სიყვარული. ეს იგრძნო გულმა და იმედმაც, მანამდე მხდალმა, ფრთები გაშალა, ცის სივრცეში გაინავარდა, და ჩემ არსებას, მოდუნებულს, არაქათ-მოშლილს, წამს შეეძინა დაუძლეველი, დიადი ძალა. და იმა ძალმა წინ გამწია, გზას მიმითითა, ცხოვრების გულში დამანახვა საყვარლის სახე, სახე-რეული, საყვედურით აპრელებული, სად ვრცელად სწერია ჩვენი ხვედრი და სივალალეხე. «წამიკითხეო, იხატოდა იმის ფურცლებზე,— აქ გიგებგო, რომ ორავეს ერთი გვაქს ბედი, ერთად დავცქეთო ბრძოლის ველზე მძლავარ ყიფნაზე, ერთად ვიყოთო განთიადის წინა-მორბედი!! მეც წავიკითხე, მაგრამ, აჰა ალარ მცალდება, რაც შიგ გავიგე, იგი ვამცნო ქვეყნიერებას; სნეული ვზიარო, და, სატრფოსა დაშორებული, ოცნებით თუ ვსტკვრეტ იმის წარმტაც მშვენიერებას... იქვი იქვს მოსდევს, სევდა—სევდას, ფიქრები—ფიქრებს, ვერ დავალწიე იმათ კლანჭებს სნეული თავი... მაღლა კი ცაში რა მაცდურად გადმოკიდული მხიარული და მოციმციმე ნაზი ვარსკვლავი.

— მითხარ, მიამბე შენ, ვარსკვლავო, მისი ამბავი, შენ ხომ დასცქერი, მშვენიერო, ჩემსა იმედსა! გეცოდინება, თუ რასა იქმს, რა გადაეკრა იმის კისერზედ ჯაჭვის აშიყს, მის ბოროტ ხვედრსა! მიამბე მეთქი, ღვთისა თვალო, მისი ამბავი!

ის კი იცინის და ციმციმებს ცისა ციაგში, მიწისა შვილის როდი ესმის ხვეწნა-მუდარა, მას არ აწუხებს აქაურთა ჭირი, ვარამი, და ჩირად უჩანს შეძახილი ჩვენი მუქარა. ოჰ, ვიცი, ვიცი—ცის ვარსკვლავი და ცისა მთვარე, აბა, რას არგებს დედა-მიწის ზურგზე მდგომარეს!..

ისევ მარტო ვარ... მთა მაღალი, მთა მიეწვედომი უთანაგრძნობოდ გადმომცქერის მწუხარს თავზედა, და არე-მარეს მიძინებულს, სხვა სიზმარში მყოფს, დარღი არა აქვს, თუ რას ეჩივი მომავალზედა. და ეს იქვნიცა... საზარელნი, შავ-ბნელნი იქვნი, ნაღველ-ნარევის ჰანგებითა მისცემენ გულსა... არა ვიცი რა, მეღირსება კიდევ თუ არა, გულში ჩავეკრა, ვემსახურო ჩემს სიყვარულსა!

სპირიდონ შგირაშვილი.

ᲞᲐᲕᲞᲐᲡᲘᲐ

Ძ. ᲜᲐᲮᲘᲩᲔᲕᲐᲜᲘ (ერევნის გუბერნია). ხოლერამ ჩვენც თავი დაგვიკა, სპარსეთის ხოლერა ნახიჩევნის მაზრასაც ეწვია. ეს რამდენიმე დღეა, რაც ნახიჩევნის მაზრის სპარსეთთან მოსაზღვრე სოფელს ყიზილვანქში რამდენიმე კაცი გარდაცვალა, აგრედვე სოფ. შახტახტაში. ყველამ იცის, რომ ახლა ერევნიდგან სპარსეთისაკენ რკინის გზა გაჰყავს თავიგრობას. ამ რკინის გზაზედ ამ ჟამად გაცხარებული მუშაობაა, მუშები კი რკინის გზას ყოველის მხრიდან მიაწყდა; რასაკვირველია, სპარსეთიც არ ჩამოუარდა ამ მხრივ სხვებს და იქიდგანაც მრავალი მუშა მოვიდა, მით უმეტეს, რომ რკინის გზა, დაწყებული ერევნის მაზრიდან ჯულფამდის, ზედ სპარსეთის საზღვარს მისდევს და მუშებს გადმოსვლა აღვილად შეეძლოთ. გავარდა თუ არა პირველად ხმა, რომ სპარსეთში ხოლერა მძვინვარებსო, მაშინვე მთავრობამ საშუალებას მიჰმართა, რომ ხოლერა სპარსეთიდან არ გადმოეტანათ. მაშინვე დაიკეტა პატარა ტამოჟნები მთელს სპარსეთის საზღვარზედ და ნახიჩევნის მაზრაში დარჩა მხოლოდ ორი დიდი ტამოჟნა ჯულფისა და შახტახტისა. ამ ორს ტამოჟნაზედ უზარმაზარი შენობებია ამორთული ყველა ამ გვარ შემთხვევისათვის, სადაც მთავრობისაგან დაყენებული ექიმი არის მუდმივ, რომელმაც უნდა გასინჯოს გადმოსულნი და, თუ საჭიროება მოითხოვს, კარანტინში ამყოფოს საჭირო დროს განმავლობაში და თანაც წამლები აპაყოს. თუმცა ყველა ეს ასრეა, მაგრამ მრავალი ხალხი გადმოდის საზღვარს მალულადაც და სწორედ აი ამ მალულად გადმოსულებმა გადმოიტანეს ხოლერაც. ეს მალულად გადმოსულნი რკინის გზის მუშებად დამდგარიყვნენ და პირველად აკი კიდევაც რკინის გზის მუშებში გაჩნდა ხოლერა. ამ ამბავმა თავს ზარი დასცა ყველას, რკინის გზაზედ ზოგ ადგილს საჭიროდა სცენს სამუშაოს შეჩერება, მოვიდა თვით ერევნის გუბერნატორი და სასტიკი ღონისძიებანი მიიღო ხოლერის წინააღმდეგ, მთელი მაზრა მოიარა და ყველას დახმარება და შეშფოთება სთხოვა, მაგრამ განა შესაძლებელია ხოლერის შეჩერება ეხლანდელს გარემოებაში? ნახიჩევნის ორს დიდს ტამოჟნაზედ ჯულფასა და შახტახტაში დიდი მოძრაობაა. ყველამ იცის, რომ ჯულფაში დიდი აღგილმცემობაა გამართული რუსეთსა და სპარსეთს შორის, რუსეთიდგან გააქვთ ამ გზით აუარებელი საქონელი, უმთავრესად კი ბაქარი, ნავთი და ჩითეულობა, - შემოაქვთ უმთავრესად ხილი ჩირად და ხალიჩები. აი, სწორედ ეს შემოტანილი საქონელი არის უფრო საშიში. სწორედ ამ შემოტანილ საქონლისაგან გავიცალდა ბაქოშიაც ხოლერა და აუცილებლად ერევნის გუბერნიაშიაც დიდი მნიშვნელობა ექნება ამ შემოტანილ საქონელს ხოლერის გავრცელების საქმეში, თუ, რასაკვირველია, ყველა სპარსეთიდან შემოტანილს საქონელს წამლები არ აპკურეს ტამოჟნაში, რასაც აქნობამდის არ ჩაღიოდნენ.

ზ. ᲥᲔᲠᲓᲝ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ოდესის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში ამას წინად შემდეგი ინკინდენტი მოეხდა: ნაფიცმა მსაჯულმა ვ. ლაზარევმა უარი განაცხადა ფიცის მიღებაზე და სთხოვა სასამართლოს, გაენთავისუფლებინათ ნაფიც მსაჯულის ვალდებულებისაგან. ასეთი თხოვნა გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ამ ორის წლის წინად ბ-ნს ლაზარევს, როდესაც ერთს დამნაშავეს ასამართლებდნენ, ხმა მიუცია დამნაშავის დასასჯელად. ამ შემთხვევის შემდეგ, როგორც ლაზარევმა განაცხადა, სინიღისი მოსვენებას არ მაძლევდა და დღე მუდამ მქენჯნიდა.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, თქვენი თხოვნა რომ დავაკმაყოფილოთ, მოიქცევით თუ არა ისე, როგორც ამას სინიღისი გამხილებთო, ლაზარევმა დასტურით მიუგო და ისიც დასძინა, საქმის გარჩევის დროს, ჩემის მხრით, ყველა დამნაშავეს განაამართლებელ ხმას მივაცემო. სასამართლომ, მცირე თათბირის შემდეგ, დაადგინა: შეიწყნაროს ლაზარევის შუამდგომლობა ფიცის შესახებ, მაგრამ ნაფიც მსაჯულობიდგან კი არ გაანთავისუფოს.

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

(ᲒᲣᲠᲜᲐᲒ-ᲒᲐᲮᲝᲪᲘᲓᲒᲐᲜ)

როეესტვენსკის ესკადრა ჯერ ევროპის ხღვებს არ გასცილებოდა, რომ დიდი უსიამოვნება შეემთხვა გულში. კარგია რომ ეს შემთხვევა მშვიდობით გათავდა ჯერ-ჯერობით და საქმე გადაეცა ყოველ მხრივ გამოსარკვევად ცალკე კომისიას. ვიღრე კომისია გამოძიებიდეს ამ საქმეს, ადრეა ლაპარაკი და ახირება იმისი, თუ უფიუოდ იაპონელთა ნაღმოსნები დაუახლოვდნენ გულში (დოგგერ-ბანკი) და ჩუმად, მიპარვით, ღალატით მოუწდომეს რუსთა ბალტიის ესკადრას თავ-დასხმა და დაზიანება ბნელ-ღამეშია. «მოსკ. ვედ.»-ი კი ამაებს არ დაგიდევთ და თამამად გაიძახის, ნამდვილად იაპონელები იყვნენ დოგგერ-ბანკთან, იმათი ნაღმოსნებია. ჯერ ისევ ამ ერთისა და ორის თვის წინად გაიესო ევროპის ზოგიერთი ქალაქები ტ მეტადრე ნორვეგია იაპონელთა ჯაშუშებთა და აფიცრებითა, უდარაჯდნენ ჩვენს ესკადრას ნორვეგიის ფიორდებშია. ნაღმოსნები გულში შეიძინეს და ინგლისელები ტაუელად თავს იკატუნებენ, ჰჩქმალავენ და ფიცითა სკდებიან, არავითარი ნაღმოსანი არა ყოფილა მეთევზედ ფლოტილიის ახლოო. გუთთაბილოვ გაზეთის აზრით, ეგ უკვე დამტკიცებულია, რომ იაპონიის ნაღმოსნებს თავს-დასხმა უნდოდათ ჩვენსე სკადრაზედ, მაგრამ ჩვენმა მამაცმა და გაბედულმა მეზღვაურებმა მალე შეუტყვეს მტერს ვერაგობა და, იკოცხლეთ, კარგა მიჰბერტყეს.

ასეთის ნიშნის მოგებით ლაპარაკობს ეტვების აღებაში დახელოვნებული და გულთა-მხილაობით განთქმული გაზეთი, და ამასაც არა სჯერდება. პირდაპირ ამტკიცებს, რომ თვით ინგლისის მთავრობაც ურევია ამ საქმეშია.

ჩვენის ფიქრით, სულ უბრალო ზრდილობა მოითხოვს, რომ გაზეთმა მოუცადოს საგანგებო კომისიის გამოძიებას და შემდეგ ანთხიოს გესლი და ნაღველი, შემდეგ ამტკიცოს ვერაგობა ინგლისისა, ღალატი და მოსყიდვა მეთევზეთა ფლოტილიისა. გაზეთის საქციელი იმასა ჰგავს, რომ, ჯერ სამართალს არა გადაეწყვეტოს-რა, თვისი მსჯავრი არ დაეღოს და ბრალდებულს უკვე დამნაშავეთა ვსთვლიდეთ და ვიძახდეთ ხმა-მაღლა, ეგ არის დამნაშაეე, ჯვარს აცვით ეგაო.

მაგრამ დავანებოთ ამ გაზეთს თავი და გავადევნოთ თვალი აღმირალ როეესტვენსკის ესკადრას. ესკადრა ახლა აფრიკის ნაპირად მიდის და უნდა შემოუხვიოს მისს სამხრეთს კონცხს «კეთილის იმედისას». მერე იქიდან უნდა აღმოსავლეთის ნაპირად იაროს მადაგასკარამდე, გავიდეს ინდოეთის ზღვაში, შემოუაროს ინდოეთს, გაბლეს ზონდის კუნძულები და მიადწიოს დიდ ოკეანეს, საცა უკვე ომინამბა და სისხლის ღვრა იყო და, შესაძლოა, კიდევ უარესი იყოს, როცა ბალტიის ესკადრა მივა.

საქმე ისაა, მივა-კი და ან როდის მივა მრავალ-ტანჯული და წამებული პორტ-არტურის დასახსნელადო,—კითხულობს ზემოხსენებულივე გაზეთი. გზაში ესკადრა ბევრგან უნდა შეჩერდეს, შეიიროს პორტებში სურსათისა და ნახშირისათვის. კარგი კიდევ, საცა გერმანელთა და ფრანგთა ახალ-შენებია, იქ, ასე თუ ისე, ყურადღება ექმნება მიქცეული, თუმცა ისიც საშიშია, შეიძლებს იქაური რიცხვმცირე ადმინისტრაცია, თვალ-ყური ადევნოს ჩვენს მტერს, რომ არსაიდგან არ გამოვეტყვრეს, არსად არ გვიდარილებდეს, არსად არ სცდილობდეს გვიხიმანოს რამეო. ხოლო საცა ინგლისელთა ახალ-შენებია,— და სად არ არის იმათი ახალ-შენები,—იქ ეს შიში ორკეკედება ჩვენის ესკადრისათვისაო.

პორტ-არტურს-კი უჭირს საქმე, სახელოვანს გმირებს მალე უნდათ მიშველება. უკასასკნელი დეპეშები ამტკიცებს, რომ მეციხოვნეთა მდგომარეობა საფიქრებელია, საშიშია. მტერი მიუხლოვდა თვით უმთავრეს ციხის გალავანს, გალავნის კოშკებს, თხუნელასავით სოროებსა სთხრის და ციხის ქვეშ მიძვრება ნაღმითა და ასაფეთქებელის მასალითა.

ყველას დიდი იმედი აქვს რუსეთში ბალტიის ესკადრისა და მის 12 ათას მეზღვაურისა. თითონ ადმირალიც იმედიანად არის. «ყოველსავე ვიქმთ, რასაც გვიბრძანებს მეფეო»,— დიდ-მნიშვნელოვანებით გამოუცხადა მან თვისთა თანაშემწეთა და თანამოსაგრეთა, ვიდრე ლიბავიდან დაიძროდა ესკადრა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბალტიის ესკადრა არ შედრკება და არ შეუშინდება არც იაპონელთაგან მოსყიდული გაზეთების ყვირილსა და ღღავილსა, არც «ინციდენტებს», არც სხვა რამ «ვაგეგბრობას», არამედ გაიკვლევს თავისთვის გზას, აიცილებს თავიდან მრავალ მოსალოდნელ ხიფათს, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია იმათთვის, ვინც ზზდაა სიკვდილი იკისროს და კი არ შეარცხვინოს თვისი ქვეყანა,— ამბობს დასასრულ გაზეთი (მ. ვ.).

ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

პრეზიდენტ ლუბეს ტაუში. როგორც სხვა მრავალ წარჩინებულ კაცებს, პრეზიდენტ ლუბესაც გამოუწვევია თავისი ტაუში. ამ დღეებში ელისეის მინდვრებში მოსეირნე საზოგადოების ყურადღებას ძალა-უნებურად იპყრობდა ერთი შუახნის ვაკბატონი, რომელიც პირ-წავარდნილი მსგავება იყო პრეზიდენტ ლუბესი და გარეგნობითაც საშინლად წაგავდა მას. მოსეირნე საზოგადოება ქუდის ხდითა და აღტაცებულის «vivat»-ის ძახილით ეგებებოდა ამ ვაკბატონს, რომელიც თავის მხრით აგრეთვე მადლს უხდიდა საზოგადოებას; სწორედ ისე, როგორც პრეზიდენტს აქვს ჩვეულებად.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ

როგორც «ნოვ. ვრემ.» გადმოგვცემს, 26 აგვისტოს უმართველესის სენატის საკასაციო დეპარტამენტის სისხლის სამართლის განყოფილებაში, სენატორის ტაგანცევის თავმჯდომარეობით, გაიარჩა საქმე სარატოვის ქალაქის თვით-მმართველობის წევრად ყოფილის ტატულიარნი სოვეტნიკის ალექსი მიკლაშევსკისა, რომელსაც სარატოვის სამოსამართლო პალატა ბრალად სდებდა ეგრედ წოდებულ «სოციალ-რევოლიუციონერთა პარტიის» წევრობას. ამ დასს აზრად აქვს რუსეთის დღევანდელ წესს-წყობილებისა და მართვა-გამგეობის ძირიანად შეცვლა; მიკლაშევსკის, როგორც ამ დასის წევრს, პალატა ბრალსა სდებდა აგრედვე მთავრობისათვის მავნე მიმართულების ბროშიურებისა, პროკლამაციებისა და სხვა ამისთანა ფურცლების შეთხზვას და ხალხში გავრცელებას, რომლითაც იწვევდა ხალხს, მთავრობისათვის აქტიური წინააღმდეგობა გაეწიათ და უდიერად იხსენიებდა აწ არსებულ კანონებსა და მთავრობის მიერ შემუშავებულ წესებს. დამნაშავის საკასაციო თხოვნას იკავდა ნაფიცი ვეკილი კარაბჩევსკი. საქმეს დასკვნა-განმარტებას აძლევდა მთავარ-ბრალმდებელი ტატ'შენკევი, რომელმაც სურვილი განაცხადა, უუფრადღებოდ დაეტოვებინათ მთხოვნელის კასაციია. უმართველესმა სენატმა, ორის საათის თათბირის შემდეგ, დაადგინა: სარატოვის სამოსამართლო პალატის განაჩენი, ვინაიდგან საქმის გარჩევის დროს არ ხელმძღვანელობდნენ 797 სასჯელთა დებულების მუხლის ძალით — დანიშვნის და დაუბრუნდეს იმავე პალატას ხელმეორედ გასარჩევად სხვა წევრთა მონაწილეობით.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

2 ნოემბერი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გენერალ-ლეიტენანტი ცერვიცკი დაინიშნა მე-10-ე კორპუსის უფროსად.

ᲢᲘᲤᲚᲘᲡᲘ, 1 ნოემბერი. (რეიტერი). მტკიცდება, რომ იაპონელებმა აიღეს რუსის სანგრები ერლუნგშანის და სუშუშანის წინ. საზოგადოდ ამ უკანასკნელ კვირაში იაპონელთ რამდენჯერმე ვერ გაიმარჯვეს და ისე ჩქარა ვეღარ მიდიან წინ, როგორც იმედი ჰქონდათ.

ᲛᲣᲙᲓᲔᲜᲘ. (საკ. კორესპონ.) ჩინეთის იმპერატორიცამ შეიწყნარა ის რეფორმები ჯარში, რომელიც ვიცე-კოროლმა ჩაუანჩინტუნმა მოითხოვა, მაგრამ არ დასთანხმდა, რომ გენ. ბმ. �აინა ორად გაეყოს, რათა ერთის ნახევრით დაამშვიდოს ამბოხება კუანსში.

ᲗᲐᲕᲠᲘᲖᲘ. (საკ. კორესპ.). ხოლერა ქალაქში თითქმის შესწყდა. გზებზე საზღვარიდან თავრიზამდე რამდენიმე შემთხვევა იყო ხოლერით ავადმყოფობისა.

ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ. არა სახუმარო მდგომარეობაა. გარემო ადგილებში ამბოხებაა კიდევ. შიგნით კი სიწყნარეა. მალეზიები მთელი დღე დაკეტილი იყო, დაჭრილთა რიცხვი საკმაოდ ბევრია.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საფრანგეთის ელჩმა ვატიკანში ნიზარამა სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი შეიტანა.—მინისტრ-პრეზიდენტი სედილოობს, რომ სამხედრო მინისტრმა სამსახურს თავი დაანებოს, მაგრამ ანდრე აქნობამდე არ ასრულებს კომბის სურვილსა.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. (რეიტერი). სტატს-სეკრეტარი მიესალმა რუზველტის სახელით პრინც ფუშმას, იაპონიის იმპერატორის ძმასა. პრეზიდენტი სამშაბათს ინახულებს პრინცსა. ოთხშაბათს საუზე იქნება.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. (რეიტერი). გრაფმა კასსინმ განაცხადა, ხმები იმიტომ გაავრცელეს იაპონელებმა, ვითომ სახელმწიფონი შუამავლობენ ომის გათავების შესახებ, რომ იმი მეგ გათავდებო. იმედი აქვთ, რომ ამ სახით იაპონელთა სესხი მიმხიდველობთის ძალას იქონიებსო. ეგები არ არის, რუსების შემოსავალი, რომელიც აღემატება მილიარდ დოლარს, აიტანს ხარჯსა და გავლენა არ ექნება ომის შედეგზეო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. (რეიტერი). სელბორმა სიტყვაში აჩვენა, თვალი არ უნდა დავხუჭოთ და უნდა დავინახოთ, რა ნაბიჯი წარსდგა რუსეთის სახელმწიფომ ინდოეთის საზღვრისაკენ. იმას იმედი აქვს, რომ რუსეთსა და ინგლისს შეტაკება არ მოუხდებათ, მაგრამ მაინც ინგლისმა არ უნდა მოაშოროს თვალი სამხედრო ამბებს.

3 ნოემბერი.

ᲢᲝᲙᲘᲝ. (რეიტერი). მიკადო თავმჯდომარეობდა სასახლეში, როდესაც იყო თათბირი სამხედრო და საზღვაო საპმენებისა. დადგენილება კრებისა საიდუმლოდ არის შენახული. ჭფიქრობენ, თუ როგორ მოეკენენ ბალტიის ესკადრას, როდესაც ის შორეულ აღმოსავლეთს მივა.—უმთავრესმა შტაბმა გამოაცხადა, რომ კურეოკის სიკვდილის ამბავი მტკნარი სიცრუეაო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. (რეტერი). გულში დაიწყო გამოძიება ჩრდილოეთ ზღვაში მოხდარ ამბის გამო. სათევზაო ფლოტილიის დირეკტორმა განაცხადა, არას დროს არ შემიფარებია გემებზე არც სურსათი, არც იაპონელნია. სათევზაო გემების ტრიუმეში ისე პატარაა, რომ აქ არა დაიმალებარა. კარმა აუწყა, რომ რუსის ესკადრამ მართლა შენიშნა ერთი გემი, რომელიც უახლოვდებოდა აღმოსავლეთიდანაო: ვისი იყო ის გემი, ვერ გაარჩია, მაგრამ ფიქრობს, რომ ის რუსის გემი იყო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ოფიციალურად გამოცხადდა გენერალის ანდრეს სამსახურიდან გასვლა. მის მაგიერ დაინიშნა სამხედრო მინისტრად ბერტო.

ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ. რევოლუციონერთა მოძრაობა დააცხრეს. ბევრია მოკლულ-დაჭრილი.

3 ნოემბერი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. შორეულ აღმოსავლეთიდან 2 ნოემბერს ოფიციალურნი ცნობანი არ მოსულა.—ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა ხელმწიფე იმპერატორიას. აზრითა და მისის ხარჯით დაარსებულ პანსიონ-თავშესაფარი მეთვისოს სახელწოდება იმპერატრიცა აღექსანდრა თეოდორეს ასულის პანსიონ-თავშესაფართა. ეს პანსიონ-თავშესაფარნი დაარსებულ-იქმნა პეტერბურგის პირველ და მეორე კადეტთა კორპუსებთან.

ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘ. (რეიტ.). დღეს დილით დაიწყო განუწყვეტელი სრო�ა ზარბაზნებისა იაპონელთა სიმაგრეებისა ზახეს სადგურის მახლობლად. ეუმბარები ციხის სანგრევ ზარბაზნებითა დამიზნებული იყო იაპონელთა უმთავრეს სიმაგრისაკენ, რომელიც მინდვრადაა აგებული. ამ სროლას აზრად ჰქონდა ხელი შეეშალა საოფიციალიცია მუშობისათვის, რომელსაც ადგენენ იაპონელნი ოთხის კვირის განმავლობაში. ცხადი იყო, რომ იაპონელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ გაეშაგრებინათ სადგური ზახე და თავ-შესაფარად გამოეყენებინათ, თუ ვინიცობაა უკან დახევა დასჭირდებოდათ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. მესამე ლაშქართან მყოფი «რეიტერის სააგენტოს» კორესპონდენტი იუწყება, 17 ოქტომბერს, პორტ-არტურზე იერიშის დროს, დიდი ზიანი მოუვიდათ იაპონელთ უფრო ცინკუანის აღმოსავლეთ ფორტის იერიშითაო. როგორ ეს უკანასკნელი იაპონელთა ხელში იყო, რუსებს მაშველი ჯარი მოუვიდათ და იაპონელნი უკანვე გამოდევნეს. ეხლა იაპონელნი სპეიორებს ამუშავებენ ციხისაკენ. აღმოსავლეთის ცინკუანი რომ აიღონ იაპონელებმა, გზა გაეხსნებათ ციხის აღმოსავლეთ მისაღლისაკენ.

ᲩᲘᲤᲣ. 2 ნოემბერი. სადამოთი, დიდის თოვლიან ქარიშხალის დროს, აქ მოვიდა რუსის კონტრ-ნაღმოსანი.

ᲓᲐᲙᲐᲠᲘ. რუსის ფლოტი ხვალ წავა, ნახშირს დაუდებს დარამლანდსა და დიეგოსურეცში.

ᲘᲐᲞᲣᲢᲚᲘ. უეცრივ გადაიცვალა იაპუტის ვიცე-გუბერნატორი ჩაშლინი.

ᲕᲐᲠᲘᲖᲘ. ჰავასის საკ. გამოაცხადა წერილი, რომლითაც სამხედრო მინისტრმა ანდრემ აუწყა ლუბეს სამსახურიდან გადადგომა, მინისტრთა საბჭომ ამის გამო მწუხარება გამოაცხადა და სამხედრო მინისტრები მისცა დეპუტატებს ბერტის, რომელმაც იკისრა მინისტრობა, ბერტ-სოციალ-რადიკალურ დასს ეკუთვნის.

ᲩᲘᲜᲣ. (რეიტერი). ნახევარ საათის წინ, მინამ რუსის კონტრ-ნადმისანი «რასტოროპნი» მოვიდა, სროლა ისმოდა. ძლიერი ქარი და თოვლია; რუსიბი გადაურჩენენ ტტერსს, რომელიც თუმცა დაუახლოვდა, მაგრამ არ მიუშვეს კონტრ-ნადმისანამდე. კრეისერ «ხენუკას» კაპიტანმა ნახა კონტრ-ნადმისანი და შემდეგ «რასტოროპნი» ნაპირს მიუახლოვდა და გაჩერდა იმ ადგილას, სადაც უწინ «რეშიტელნი» იდგა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. პორტუგალიის მეფე-დედოფალი ვინძორს მოვიდნენ.

იაპონიის ახალი სესხი დაფარულ იქმნა ხელის მოწერით რვაჯერ თუ ათჯერ.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. (ვოლფი). გერმანიის ტოკიოელ მისსიაში მყოფი გრაფი გამფულდ-ტრასტენბერგი დაინიშნა ბერლინში იაპონიის ელჩად ნამყოფის ადგილ ქალიშვილზედ. ქორწინება დეკემბრის შუა რიცხვებში მოხდება.

ᲡᲝᲤᲘᲐ, რადგანაც სესხი აღებულ იქმნა, ბულგარიის მთავრობამ კრეზოს 81 მსწრაფელ-მსროლელი ბატარეა შეუკვეთია.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბს, 2 ნოემბრის თარიღით: «მოხსენებანი შებრძოლებათა შესახებ 2 ნოემბერს არ მიგვიღია».

დროებით რედაქტორი **ᲒᲠ. ᲥᲘᲞᲨᲘᲫᲔ**
გამომცემელი **Ა. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ:

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ
29 ოქტომბერს 1904 წ.

ᲕᲔᲪᲘᲚᲘᲡᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ. . . .	93,60
ბერლინში 100 მარკაში . . .	—
პარიზში 100 ფრანკში . . .	—
ლონდონში ჩეკები	94,35
ბერლინში „	46,30
პარიზში „	37,52½
ბირჟის დისკონტი.	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა . . .	91⅞ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ. . . .	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . .	89½ ნ. გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	415¾ ნ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	318 წ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	265¾ წ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცელ. . . .	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცელ. . . .	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

მიმოსვლა რკინის ეზის მაგარებლებისა ამ წლის 15 ოკტომბრიდან.

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ᲑᲐᲥᲣᲜᲘ: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲚᲐ ᲓᲐ ᲣᲐᲠᲚᲣ: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საკონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ᲒᲝᲠᲬᲘᲡᲐ: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ᲑᲐᲥᲣᲜᲘᲓᲐᲜ: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ᲔᲠᲔᲕᲐᲜ-ᲥᲐᲠᲚᲘᲡᲓᲐᲜ: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საკონლ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ᲒᲝᲠᲬᲘᲡᲐᲜᲓᲐᲜ: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ-ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამის 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საკ.-სამგზ. № 17 დილა 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ-ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ᲑᲐᲥᲣ-ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ: 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲘ:

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ.—მიხეილის ქუჩა, სახაზინის სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—6ᲜᲐᲛᲐᲜ. თვეში.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲥᲣᲠᲜᲐᲚᲝ.—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩება უფასოა. ღარიბთათვის რჩებაცა და ᲬᲐᲛᲚᲘᲡᲗᲐᲜ უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲥᲣᲠᲜᲐᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡᲘ:

ᲐᲑᲐᲚᲐᲮᲘᲡᲐ.—ეახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. ივიტინეკი.

ᲙᲣᲚᲘᲜᲘᲡᲐ—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲜᲘᲡᲐ—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანეკი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲥᲣᲠᲜᲐᲚᲝ—კრილოვისა და ვლეიკოვსკოვსკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტუბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲐᲗᲕᲘᲡ—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიხენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

ᲡᲘᲠᲗᲘᲚᲘᲡᲘᲗᲕᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲐᲗᲕᲘᲡ საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრეუ-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტომანოვი.

ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲔᲚᲘᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲐᲗᲕᲘᲡ უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანეკი.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲕᲝ-ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანესისა.

2) დიდუბეში, სახლი გოდლიუტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა».

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ:

1) სასახლის ქუჩაზე, თვ.-აზნაურიბის ქარვასლაში. დღეა არის
დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—7 „

კვირა-უქმეს—დილ. 11—1 „

2) ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131. დღეა არის
დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—9 „

3) ოდკას ქუჩაზე, სახლი № 19
დღეა არის დილით 10—2 საათ.
საღამ. 5 8 „

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲕᲐᲠᲘᲡᲠᲣᲚᲝᲒ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და სწრაფად. მსურველთ მიმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. Ჯ.-Ნ.
(0—უ—1).

ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ
ახალი წიგნი

ᲣᲪᲮᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: **книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.**

„ᲪᲝᲓᲜᲐ“-Ს

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება:

დიდი სურათი ზოთა რუსთაველისა აკაკის ლექსით ბრესტოლის ქალალდზედ.	60 კ.
რაჯა სასიკო მერკვილაძისა. . . .	20 კ.
ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით	15 კ.
რაში ბედნიერება? ისე რაჭველისა .	10 კ.
სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან.	10 კ.
სიმღერა აკაკისა—სურათით. . . .	15 კ.
ზმიდი გიორგის რაზი აკაკისა . . .	5 კ.
გრიგოლ ორბელიანის ლექსები. . .	20 კ.
კულტურა ლიბერტისა ნათ. Ჯ. ყიფიანისა	50 კ.
ლექსიკონი რუსულ-ქართული . . .	50 კ.
ლექსიკონი სპა ორბელიანისა, . . .	3 მნ. „
ლექსი—ორი სახოკიანი რუსულ-ქართულად.	20 კ.
სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი	5 კ.
ბაში-აჩუკი აკაკისა	30 კ.
ვაპრული ᲯᲐᲣ აკაკისა	5 კ.
პატარა ჩინგური (დედა ენა) . . .	5 კ.
დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი როსტ.	5 კ.
ოკრეა (ხალხური ზღაპარი) . . .	5 კ.
სამი ზღაპარი	10 კ.
აბრაამის და იობის ლექსი	3 კ.
თამარ მეფე სურათით	5 კ.
თხზულება ია ეკალაძისა	1 მან. „
ქვათა ლაღადი ი. ჭავჭავაძისა . . .	„—30 კ.
ივანე რუსულად თარგმანი	„—50 კ.
დამაკარი, ბრძენთა ანდაზანი . . .	„—50 კ.
მამიდა ასმათი გ. წერეთლისა . . .	„—20 კ.
ჩემი თავ გადასავალი აკაკისა . . .	1—„ „
სიტყვიერების თეორია ი. კ. . . .	1—„ „
გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი	1—80 კ.
დამშრეტელნი ნათ. თ. სახოკიანი . .	1—„ „
ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ.	9—„ „
ამ ბგერიერე რუსულ-ქართული ყდით .	3—„ „
ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტანიკ.	„—60 კ.
ანტონ ქათალიკოს. ქართ. დრამატიკა	1—50 კ.
ვახუშტის გეოგრაფია	2—„ „
ისტორ.საბუთები შიო მღვიმის მონასტერ	„—50 კ.
ვეფხვის ტყაოსანი წ. Ჯ. გამოცემული.	„—60 კ.
ზზა მეტყველება ანტონ ქათალიკოზისა.	2—50 კ.
დავით გურამიშვილი	1—„ „
ქართლის ცხოვრება I, II და III. .	1—80 „
Вступл. Грузіи въ сос. Рос. Имп.	„—40 к.
Исторія Грузинск. церк. Е. К.	2 р. „ „
კალმასობა ილაენე ბატონიშვილისა .	1—„ „
ამირან-დარეჯანიანი	1—„ „
ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა .	1—„ „
რაშა განდეგილ ალ. ს—შვილისა. . .	„—40 ᲙᲐ.

ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲘᲜᲘ: აკაკი წერეთლისა, ილია ᲭᲐᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ, ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡᲐ, არაგვისპირელისა და სხვათა.

სურათი თამარ მეფისა დიდი . . .	1—50 კ.
» » » პატარა. . . »	6 კ.
„ აკაკისა ბრესტოლის ქალ.ლდზე.	50 კ.
„ ილია ᲭᲐᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ	50 კ.
„ ალექსანდრე ყაზბეგისა . . .	50 კ.
„ რაფიელ ერისთავისა.	40 კ.
„ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ	50 ᲙᲐ.
„ ეგნატე ნინოშვილისა	30 ᲙᲐ.
„ გიორგი წერეთლისა	30 ᲙᲐ.
„ ლეონიდე ეპისკოპოზისა . . .	30 ᲙᲐ.
ᲯᲐᲣᲨᲘ თამარისადმი ვეფხ. ტყაოს. მიმართ.	50 ᲙᲐ.
საქართველოს დიდება, ხახინისსა. .	1—20 ᲙᲐ.
სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო.	„—5 ᲙᲐ.

ᲐᲥᲕᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲝᲜᲯᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲔᲑᲘ.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუფუოფნელია გაეგზავნებოდა ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ.**

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲐᲕᲚᲝᲒᲝᲡ დაიწყო მუშაობა. მიიღებენ შესაკერად

ᲙᲐᲑᲔᲑᲡ

ძლიერ იაფად, ოთხიდან ექვს მანეთამდე ფასონს.

იქვე, სახელოსნოს მეორე განყოფილებაში, მიიღებენ შესაკერად ყოველ გვარ **ᲗᲝᲜᲘᲠᲔᲣᲚᲘ, ᲛᲔᲢᲐᲚᲘᲡ** და ოსსაქარგად აბრეშუმს—ფერადის ძაფებით, მუთაქა ბალიშს და სხვ.

ᲤᲠᲐ-ᲥᲔᲠᲘᲡ კურსებზედ მიიღებენ მოზრდილ ქალებს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ვერა, მოსკოვის ქუჩა, № 6.

(4—344—4).

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘ

ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲓᲒᲔᲜᲚᲐᲓ ᲜᲔᲑᲐ-ᲓᲠᲗᲣᲚ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲬᲘᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ.

ᲤᲐᲡᲘ 15 ᲙᲐᲞ.

ვისაც სურს ყიდვა, მიმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შეესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დასწავლისათვის მცოდნენი.

სწავლის კათაედების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუღალტერია** (მარტივი, ორკეცი და სადანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოტქი** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაპრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) **მსწრაფელ-წერა** და **წერა-გაკრული** და **შნოიანი** (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყოთა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების საგგამში, სახლი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ფრიდანოვისა, 4 9, სერგეევსა და ფერშოტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების საგგამში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. **ᲛᲐᲜᲣᲔᲚᲘᲐᲜᲪ,** ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—24)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲜᲘ

1) **ᲘᲐᲜᲕᲐᲜᲐᲛ ᲠᲐ ᲭᲘᲛᲜᲐ?** მოთხრობა ი. გოგებაშვილისა, მეოთხე გამოცემა, მეთორმეტე ათასი, ფასი ერთი შაური. ვინც ათობითი იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად. ვინც ოცობით—სამ კაპეიკად.

2) **ᲑᲣᲠᲯᲘ ᲔᲠᲘᲜᲔᲚᲘᲡᲐ,** მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობითი იყიდის, დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—15 კაპეიკად.

3) **Къ вопросу о мингрельской школѣ,** მისივე, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

4) **Правда о Тифлисѣ,** მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

5) **Какъ поднять Кавказкую народн. школу,** მისივე, ფასი ექვსი შაური. ვინც ათობითი იყიდის, წიგნი დაეთმობა 24 კაპეიკად, ვინც ოცობით—22 კაპეიკად. (5—5).

ᲛᲡᲬᲠᲐᲤᲚ ᲛᲒᲔᲭᲓᲐᲕᲘ

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ

ᲔᲥᲒᲝᲛᲘᲛᲔ ᲘᲕ. ᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡᲐ,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ᲧᲕᲔᲚᲐ-ᲜᲐᲘᲠ ᲡᲐᲑᲭᲔᲓᲐᲕ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ᲧᲔᲚᲐ, ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲔᲑᲡᲓᲔᲓᲘᲡ.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებულიყველა ადგილები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ᲤᲐᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲓᲛᲘᲡᲐᲬᲓᲝᲛᲘᲐ.

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ᲜᲐᲓᲔᲥᲓᲐ“

ზღკთ, ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲗ და ᲮᲛᲔᲚᲔᲗᲘᲗ გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡᲒᲐᲜ დასაზღვევად.

ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1847 ᲬᲔᲚᲡ

ᲛᲐᲠᲗᲘᲗᲐᲓᲐ	**ᲗᲐᲜᲮᲘᲡ**	**1.650.000 ᲛᲜ.**
ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲨᲝ	**ᲙᲝ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ** . . .	**2.664.808 ᲛᲜ.**

ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

Ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ორნი.

Ბ) დაზღვევა ტეტნლისაგან ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐ.

Გ) დაზღვევა ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲡ ᲮᲘᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲖᲐᲨᲘ ნავთა ამა თუ ამ ნაწილისა, ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ და ᲒᲐᲒᲠᲔ-ᲓᲔᲡᲘᲢᲔᲠᲔᲑᲘᲡ.

Დ) დაზღვევა ᲒᲘᲜᲘᲡ, რომელიც ᲒᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡᲐᲜ ᲝᲡᲜᲘᲡ ᲮᲛᲔᲚᲗᲘᲗᲘᲗ და ᲮᲛᲔᲚᲖᲔᲓ მსოფლიო საფოსტო კავშირის ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ.

დაზღვევის კისრულობს როგორც კომპანია ისე კომპანიის საკანტორნი ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ. სტრასბურგსა საკანტორნი ᲒᲐᲠᲔᲨ, ᲢᲔᲢᲜᲚᲘᲡᲒᲐᲜ დაზღვევის ᲐᲠᲬᲠᲛᲔᲑᲘᲗ 350 ᲬᲚᲔ მეტი განსაკუთრებით ᲢᲔᲢᲜᲚᲘᲡᲒᲐᲜ დაზღვევის საკანტორნი.

ᲒᲐᲛᲔᲒᲐᲜ ს. პეტერბურგის კომპანიის **ᲜᲐᲓᲔᲥᲓᲐᲡ**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტოგის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმენებულნი: სახზეგო ნავთსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავთსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგანტო ქართველთა ᲛᲐᲒᲐᲖᲘᲜᲣᲠᲝᲑის სახლეში, დანოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—5—48)

Дозволено цензурою Тифлисъ, 3 ноября, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.